2019

ექსპერტიზა

ექსპერტი:

ნინო ჩაჩხიანი

სპეციალისტი:

მიხეილ მუმლაძე

სარჩევი

შესწავლის საგანი: 3

დამკვეთის რეკვიზიტები: 3

საპროექტო შენობ(ებ)ის რეკვიზიტები: 3

ტექნიკური დოკუმენტაციის რეკვიზიტები: 3

ტექნიკური რეგლამენტები: 4

ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები შესაბამისობაზე: 4

შეფასების საგანი და შესაფასებელი კომპონენტები: 5

ინფორმაცია ექსპერტის შესახებ 5

დეკლარაცია მოწოდებულ ინფორმაციაზე და პასუხისმგებლობის შეზღუდვა 5

1. არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა: 6

2. დაკავებულობ(ებ)ი და დაკავებულობის დატვირთვები: 7

დაკავებულობები 7

დაკავებულობების დატვირთვები 7

3. კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი, სიმაღლე და ფართობი: 8

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება: 10

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება: 12

6. მისაწვდომობის შეფასება 13

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება: 14

8. იატაკის და სახურავის ანაწყობების შეფასება 15

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება: 15

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება: 16

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება: 17

დასკვნა: 17

დანართი 1: 18

დანართი 2: 21

ილუსტრაციების ნუსხა

სურათი 1. ტდ ვიზუალიზაციის გვერდი 6
სურათი 2. გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობების ფართობის ანგარიშის სქემა 602 და 705.8 ცხრილების შესაბამისად, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცხვის ხარისხის მიხედვით 15

ფოტო 1. შრომის წიგნაკის ფოტოასლი 18
ფოტო 2. შრომის წიგნაკის ფოტოასლი 18
ფოტო 3. შრომის წიგნაკის ფოტოასლი 19
ფოტო 4. შრომის წიგნაკის ფოტოასლი 19
ფოტო 5. შრომის წიგნაკის ფოტოასლი 20
ფოტო 6. შრომის წიგნაკის ფოტოასლი 20
ფოტო 7. დიპლომის ფოტოასლი 21

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. კომპონენტების ნუსხა 6
ცხრილი 2. სივრცეების (ბინები) დ.დ. 8
ცხრილი 3. სართულების დ.დ. 8
ცხრილი 4. სიმაღლე 9
ცხრილი 5. ფართობები 9
ცხრილი 6. გარე კედლების ცეცხლემედეგობის შეფასება (იხილეთ სქემასთან ერთად) 10
ცხრილი 7. საერთო სავალი ბილიკის შეფასება 10
ცხრილი 8. გზა-კარების რაოდენობის შეფასება სივრცეებისთვის 11
ცხრილი 9. მაქსიმალური სავალი მანძილები 11
ცხრილი 10. დერეფნების ცეცხლმედეგობა 12
ცხრილი 11. გამტარუნარიანობის შეფასება 12
ცხრილი 12. დერეფნის სიგანე 13
ცხრილი 13. ღიობების მაქსიმალური ფართობების ანგარიშის ცხრილი პროექტიდან 14
ცხრილი 14. აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები 17

ექსპერტიზა

(საბოლოო შეფასება)

შესწავლის საგანი:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (*შემდეგში საპროექტო ობიექტი*) **სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილის** (*შემდეგში ტექნიკური დოკუმენტაცია*) **ტექნიკურ რეგლამენტებთან** (*მითითებულია ქვევით*) **შესაბამისობა.**

დამკვეთის რეკვიზიტები:

- დასახელება: შპს კრწანისი გრანდე
- საიდენტიფიკაციო კოდი: 404557127
- მისამართი: ქ. თბილისი, კრწანისის შესახვევი N17

+(995) 599 447 181

jomidavagocha@gmail.com

საპროექტო შენობ(ებ)ის რეკვიზიტები:

- მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.18.06.012.132 (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N892018360404)
- მესაკუთრე: შპს კრწანისი გრანდე
  მისამართი: თბილისი, კრწანისის შესახვევი N17
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები / განაშენიანების რეგულირების გეგმა (*შემდეგში გრგ*): N1769449, 03/09/2015;
- საპროექტო შენობა/ნაგებობა:
  - ფუნქცია: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
  - რაოდენობა: 2
- კლასის განმსაზღვრელი პარამეტრები: [1]

ბლოკი A	ბლოკი B	*შენიშვნა*
S k-2 = 13751.2 კვ.მ		*შენობის **K-2** კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი*
H = 36.95 მ	**H** =30.35მ	*შენობის სიმაღლე*
D = 7.20 მ	**D** = 7.20 მ	*შენობის ჩაღრმავება*
L = 6.5 მ	**L** = 6.5 მ	*შენობის მაქსიმალური მალის სიგრძე*

- მშენებლობის კლასი: IV

ტექნიკური დოკუმენტაციის რეკვიზიტები: [2]

- ტექნიკური დოკუმენტაცია (*შემდეგში ტდ*): სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილი; თბილისი, 2019 წ.
- კონტრაქტორი პირი: გოჩა ჯომიდავა **(პ/ნ 62004001410)**
- პასუხისმგებელი არქიტექტორი/სპეციალისტი: ალექსანდრე სესიაშვილი, სალომე მაყაშვილი

[1] მიიღება ის, რომელსაც ეხება შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები და ჩაუტარდა ექსპერტიზა (იხ. თავი: ტექნიკური რეგლამენტები).

[2] რომელსაც ჩაუტარდა ექსპერტიზა.

- ტდ ფორმატი: CAD და PDF ფაილის ფორმატები.
- საჯარო რესურსი: http://tas.ge/

ტექნიკური რეგლამენტები: [3]

1. ტექნიკური რეგლამენტი – **„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესი“**, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 15.01.201.46 წ N61 დადგენილებით – [**ref.#: 61**];
2. საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წ დადგენილება N57 **„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“** – [**ref.#: 57**];
3. ტექნიკური რეგლამენტი – **„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“**, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წ N41 დადგენილებით – [**ref.#: 41**].

ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები შესაბამისობაზე:

1. **ref.#: 57**, მუხლი 47. არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა: [4]
   ა) ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე;
   ბ) III, IV და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობის ანალიზს;
   გ) სიტუაციურ გეგმას – მ 1:2000 ან მ 1:1000;
   დ) არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალას (შორი და ახლო ხედებით, თარიღის მითითებით);
   ე) მიწის ნაკვეთის გეგმას (კოორდინატების მითითებით) – მ 1:500 ან მ 1:250:
   ვ) სართულის გეგმები ყველა დონეზე და სახურავის გეგმა – მ 1:200, მ 1:100 ან/და მ 1:50:
   ზ) შენობა-ნაგებობის განივი ან/და გრძივი ჭრილ(ებ)ი - მ 1:200, მ 1:100 ან/და მ 1:50:
   თ) შენობა-ნაგებობის ყველა ფასადს - მ 1:200, მ 1:100 ან/და მ 1:50:
   ი) III, IV და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის დაჯავებულობებისა და გასასვლელი საშუალებების გეგმებს - მ 1:200 ან/და მ 1:100:
   კ) III, IV და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის გზა-კიბეების, პანდუსების, მოაჯირებისა და სახელურების შესაბამისობას შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან ნახაზების სახით - მ 1:50 ან/და მ 1:20;
   ლ) III, IV და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გეგმებს - მ 1:200:
2. **ref.#: 57**, თავი XVII. IV კლასის შენობა-ნაგებობები.
3. **ref.#: 41**, მუხლი 2:
   „1. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV და V კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებაზე, მშენებლობასა და მოვლა-პატრონობაზე.
   2. იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ამოქმედებამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე წესები უფრო ხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებს და მის გამოყენებაზე მოთხოვნას აყენებს განმცხადებელი.

[3] რომლის საფუძველზეც ან/და რომელთა მიმართებაშიც შემოწმდა ტექნიკური დოკუმენტაცია.

[4] სრულად მოცემულია იქვე. არქიტექტურული პროექტის ნაწილები შესაძლებელია წარდგენილი იყოს შეთავსებული სახით.

3. თუ შენობა-ნაგებობები აშენებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე ამ დადგენილების მოთხოვნების შეუსაბამოდ, მათი რეკონსტრუქციისას დაუშვებელია დადგენილების მოთხოვნათა მიმართ არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდა.“

შეფასების საგანი და შესაფასებელი კომპონენტები: [5]

საპროექტო ობიექტის შესაბამისობა რეგლამენტთან შემდეგ კომპონენტებში:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
ვ) მისაწვდომობის შეფასებას;
ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;
ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;
მ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა მოთხოვნების შეფასებას.

ინფორმაცია ექსპერტის შესახებ

- სახელი გვარი: ექსპერტი **ნინო ჩაჩხიანი**;
- მოკლე ბიოგრაფიული ცნობები: დანართი 1;
- კვალიფიკაციის ცნობები: დანართი 2.

დეკლარაცია მოწოდებულ ინფორმაციაზე და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

წინამდებარე საექსპერტო შეფასების ანგარიშის დანიშნულებაა დამკვეთს მიაწოდოს საექსპერტო შეფასების შედეგები, რაც მისთვის საჭიროა დაპროექტებული შენობების არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

მე, ნინო ჩაჩხიანმა, არქიტექტურის მაგისტრთან განათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე არქიტექტორმა, სანებართვო საქმიანობის ექსპერტმა, სპეციალისტებთან ერთად მოვამზადე რა წინამდებარე ანგარიში, რომელიც ეფუძნება კონტრაქტორი კომპანიის მიერ მოწოდებული ტდ-ს, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება მასვე, ხელისმოწერით ვადასტურებ შეფასების ფარგლებში ჩემ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორესა და შესაბამისობას რეგლამენტებთან (**ref.#: 61**, **ref.#: 57**, **ref.#: 41**).

ანგარიში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა დანიშნულებით, გარდა ამ ანგარიშში მოყვანილი რეგლამენტებით (**ref.#: 57**, **ref.#: 41**) უშუალოდ გათვალისწინებულისა. ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ შემოწმებული ტდ-ის რეგლამენტებთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე, ან/და მშენებლობის პროცესში მისგან გადახვევაზე.

ექსპერტი **ნ. ჩაჩხიანი**

18.09.2019, თბილისი

[5] *„მუხლი 25. სამშენებლო საქმიანობის ექსპერტი, მისი უფლებამოვალეობანი“* - შესაბამისად (**ref.#: 57**).

გამოვლენილი გარემოებები:

შენიშვნა:

N	*ამ პარაგრაფში გამოყენებული აღნიშვნები*	
1.	×	*მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი არის სრულად შესაბამისი*
2.	—	*მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი არის ნაწილობრივ შესაბამისი*
3.	□	*მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი განისაზღვრება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ*

შესწავლილ იქნა შენობის ტდ, ზემოხსენებულ რეგლამენტებთან (**ref.#: 57**, **ref.#: 41**) მიმართებაში და გამოვლენილ იქნა შემდეგი გარემოებები:

1. არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა:



სურათი 1. ტდ ვიზუალიზაციის გვერდი

1.1. „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობის ანალიზის ნაწილში:

N	კომპონენტი	გააჩნია	არ გააჩნია
1.	თითოეული დაკავებულობისა და გამოყენების აღწერა	×	
2.	კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი	×	
3.	სიმაღლის შეზღუდვები	×	
4.	ფართობის შეზღუდვები	×	
5.	გარე კედლის ცეცხლმედეგობა და ღიობები	×	
6.	ხანძრისაგან დაცვის სისტემები	×	
7.	მოთხოვნები გასასვლელებისადმი	×	
8.	მისაწვდომობა	×	
9.	იატაკის და სახურავის ანაწყობები	×	
10.	ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმოჯნავები	×	
11.	წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები	×	

ცხრილი 1. კომპონენტების ნუსხა

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები სრულად.

2. დაკავებულობ(ებ)ი და დაკავებულობის დატვირთვები:

ref.#: 41. თავი 3, ცხრილი 302, ქვეთავი 403 და 406

დაკავებულობები

საპროექტო შენობა იყოფა 2 „ა“ და „ბ“ ბლოკად. ორივე ბლოკი წარმოადგენს მაღლივ შენობას[6]. თითოეული გამოყენება და შესაბამისი დაკავებულობა ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული **302**-ე ქვეთავის შესაბამისად. ობიექტის ძირითადი დაკავებულობის ჯგუფი არის **სც-2**, რომელიც „ა“ ბლოკის 8 (2-9) და „ბ“ ბლოკის 7 (2-8) სართულზეა გათვალისწინებული. პროექტში ასევე წარმოდგენილია „ა“ ბლოკის +4,00 და „ბ“ ბლოკის ±0,00 ნიშნულებზე **სვ** ჯგუფის დაკაებულობა, „ა“; „ბ“ ბლოკის -6,60 და -3,30 სართულებზე საერთო **სწ-2** ჯგუფის შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი და „ა“ ბლოკის ±0,00 ნიშნულის სართულზე **სწ-2** ჯგუფის შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი. შემოზღუდული ავტოსადგომებისთვის დაცულია **406**_ე ქვეთავის მოთხოვნები.

სწ-2 დაკავებულობასთან ერთად „ა“ ბლოკის -6,60 ნიშნულის სართულზე გვხვდება **დს** ჯგუფის დაკავებულობა (სახანძრო ტუმბოსა და რეზერვუარის ოთახები), თუმცა 508_ე ქვეთავის შესაბამისად, ვინაიდან სივრცეების ფართობი არ აღემატება ამავე სართულის ფართობის 10%-ს, იგი ცალკე არ კლასიფიცირდება და იანგარიშება სართულის ძირითადი დაკავებულობის საანგარიშო ფართობში. სახანძრო ტუმბოს ოთახისთვის დაცულია **913.2.1** ქვეთავის მოთხოვნები ცეცხლმედეგ ზღუდეებთან დაკავშირებით.

შენობაში თანმხლები გამოყენებები, რაც მოცემულია *ცხრილი 509*-ში, პროექტით არ არის გათვალისწინებული და *წესების* თანახმად დაკავებულობის აუცილებელი გამიჯვნის დებულებები არ ვრცელდება.

გამოყენება	დაკავებულობის ჯგუფი	ა ბლოკი		ბ ბლოკი	
		ნუმერაცია	სართული	ნუმერაცია	სართული
შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი	**სწ-2**	N 1;2; 4	-3; -2; -1	N 2; 4	-2; -1
სავაჭრო ფართები	**სვ**	N2-5	1	N1-4	1
საცხოვრებელი ერთეულები	**სც-2**	N 6-65	2-9	N 5-62	2-8

დაკავებულობების დატვირთვები

საპროექტო შენობების დაკავებულობების დატვირთვების ანგარიშისთვის გამოყენებულია დ.დ.ფ. მაჩვენებლები ცხრილი 1004.1.2-დან.

პროექტში ბინებიდან გასასვლელებისკენ შუალედური ოთახები ან სივრცეები არ გვაქვს, შესაბამისად დაგროვებული დატვირთვა არ გვხვდება არც-ერთ სივრცეში.

დამხმარე გამოყენება პროექტის მიხედვით არის დერეფანი ლიფტი-ფოიე და გზა-კიბე, რომელიც დაანგარიშებულია იატაკის ფართობებში[7] იმ დაკავებულობებთან ერთად, რომელსაც ის ემსახურება.[8]

დაკავაბულობის დატვირთვის ანგარიში შესრულებულია ცალკე სივრცეებისთვის და ცალკე სართულებისთვის, რადგან აღნიშნულზეა დამოკიდებული თითოეულის გასასვლელი საშუალების ზომა და რაოდენობა.

[6] ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი, ყველაზე დაბალი დონიდან 23 მ-ზე ზემოთ.

[7] სადაც მოთხოვნილია დაკავებულობის დატვირთვის ანგარიში იატაკის მთლიანი ფართობით.

[8] ამასთან მათი ცალკე დაკავებულობად კლასიფიცირება და დატვირთვის დაანგარიშება არ ხდება, რადგან წარმოადგენენ შენობის ცირკულაციისთვის განკუთვნილ, დაუკვაბელ სივრცეებს.

ცხრილი 2. სივრცეების (ბინები) დ.დ.[9]

დაკავებულობის ჯგუფი	სივრცის დანიშნულება	სივრცე		დატვირთვა		
		ნუმერაცია	სართული	S (m²)	დ. დ. ფ.	დ.დ.
სწ-2	შემოზღუდული ავტოსადგმი გარაჟი	N3	„ა“-„ბ“ ბლოკი -6.60;-3.30	1484,5	18,6	**80**
სვ	სავაჭრო სივრცე[10]	N2;4 N1;3	„ა“-„ბ“ ბლოკი (±0.00)	119,5	2,8	**43**
სვ	სავაჭრო სივრცე[11]	N4	„ბ“ ბლოკი (±0.00)	186,1	2,8	**67**
სც-2	საცხოვრებელი[11]	N61	„ბ“ ბლოკი +24.50	163,0	18,6	**9**

ცხრილი 3. სართულების დ.დ.[12]

დაკავებულობის ჯგუფი	სივრცის დანიშნულება	სართული	დატვირთვა		
			S (m²)	დ. დ. ფ.	დ.დ.
სწ-2	შემოზღუდული ავტოსადგომი (მათ შორის, გზა-კიბე, ლიფტი-ფოიე)	„ა“-„ბ“ ბლოკი -6.60;-3.30	1641,7	**18,6** (მთლიანი)	**89**
სც-2	საცხოვრებელი	„ა“ბლოკი +27.80	1032.4	**18,6** (მთლიანი)	**56**

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

3. კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი, სიმაღლე და ფართობი:

ref.#: 41. ცხრილი 503

კონსტრუქციის ტიპები პირდაპირ კავშირშია შენობისათვის დასაშვებ სიმაღლესთან და ფართობთან, მათი გამოყენების/დაკავებულობის საფუძველზე. წესების საუკეთესო საერთაშორისო გამოყენება გვკარნახობს, რომ დამპროექტებელმა ჯერ უნდა განსაზღვროს სასურველი გამოყენება/დაკავებულობის ჯგუფი, ამის შემდეგ გამოიყვანოს სასურველი სიმაღლე და ფართობი, და ბოლოს — განსაზღვროს კონსტრუქციის ტიპი.[13] ამის შემდგომ, განისაზღვრება ცეცხლმედეგობის მიმართ მოთხოვნები გამოსაყენებელ მასალებზე ცხრილი 601 და 602_ის მიხედვით.

3.1. საპროექტო შენობების მაქსიმალური სიმაღლეები და ფართობები შერჩეულია სწორად *წესების* თავი 5 ცხრილი 503-ს მიხედვით, დაკავებულობის ჯგუფების გათვალისწინებით:

[9] ვინაიდან ყველა სივრცეს მოეთხოვება და გათვალისწინებულია ერთი რაოდენობის გასასვლელი (ორივე ბლოკში) და გასასვლელების ზომა მსგავსია (მსგავს დაკავებულობებში), თითოეული დაკავებულობიდან წარმოდგენილია მაქსიმალური ფართობის/დაკავებულობის სივრცე. დეტალური ინფორმაცია დამკავებელთა რაოდენობაზე თითოეული სივრცისთვის, წარმოდგენილია პროექტში.

[10] ვინაიდან ორივე ბლოკში თითოეული სავაჭრო ფართობი მდებარეობს მიწისპირა დონეზე და აქვს დამოუკიდებელი გასასვლელი შენობის გარეთ, მათთვის დაკმაყოფილებულია 1015 ქვეთავის მოთხოვნები და სართულის მთლიანი დაკავებულობა მათთვის აღარ იანგარიშება.

[11] წარმოდგენილია ყველაზე მეტი დამკავებელთა რაოდენობის ბინა 2_ივე ბლოკიდან.

[12] ვინაიდან შენობის თითოეულ ბლოკს აქვს მსგავსი ტიპის და რაოდენობის გასასვლელები, და აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ასევე სართულებზე არ გვხვდება შერეული ტიპის დაკავებულობები, გამომდინარე აქედან, ორივე ბლოკიდან წარმოდგენილია ყველაზე დიდი დაკავებულობის სართული, დაკავებულობის ჯგუფების მიხედვით. დეტალური კროკები სხვა სართულებისთვის წარმოდგენილია პროექტის CAD ფაილში.

[13] მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისობის ანალიზში ყოველთვის ჯერ კონსტრუქციას უთითებენ და შემდეგ ფართობსა და სიმაღლეს.

ცხრილი 4. სიმაღლე

დაკავებულობის ჯგუფი	შენობის სიმაღლე (მ)			სართულიანობა				კონსტრუქცია	
	დასაშვები	დაგეგმილი [14]		დასაშვები	დაგეგმილი [15]			ტიპი	კლასი
		„ა“ ბლოკი	„ბ“ ბლოკი		„ა“ ბლოკი		„ბ“ ბლოკი		
სვ	48,8	31,39	29,39	11	1	9	1	I	B
სც-2					8		7	8	

ცხრილი 5. ფართობები

დაკავებულობის ჯგუფი	სართულიანობა (ნიშნულები)	სართულის ფართობი S (m²)[15]		კონსტრუქცია	
		მაქსიმალური დასაშვები	დაგეგმილი	ტიპი	კლასი
სწ-2	„ა“-„ბ“ ბლოკი (-6.60;-3.30)	შეუზღუდავი	1641,7	I	B
სვ	„ა“- ბლოკი (+4.00)		737,4		
სც-2	„ა“- ბლოკი (±27.80)		1034,4		

3.2. საპროექტო შენობების კონსტრუქციის ტიპი **შერჩეულია** წარმოდგენილი გამოსაყენებელი მასალების ცეცხლმედეგობის, ფართობისა და სიმაღლეების გათვალისწინებით და ყველა ობიექტის კონსტრუქციის ტიპად მიღებულია **I (B)**.

3.3. ცეცხლმედეგობის ანგარიშისთვის გამოყენებულია ცხრილი 601, მიუხედავად იმისა, რომ ანალიზში ცალკე არ არის მოცემული ცეცხლმედეგობის ამოკრებილი ცხრილი, მოთხოვნები პროექტით სწორად არის განსაზღვრული. კერძოდ:

- **სტრუქტურული ჩარჩო:** 2 სთ > გათვლილია 4სთ-ზე მეტი (50[16] სმ კრემნიუმის ბეტონის სვეტები. იხ. ცხრილი 722.2.4)
- **გარე მზიდი კედლები:** 2 სთ > ასეთი არ გააჩნია
- **შიგა მზიდი კედლები:** 2 სთ > ასეთი არ გააჩნია
- **გარე არამზიდი კედლები**: **ცხრ. 602 შესაბამისად** [17] 1 სთ- > გათვლილია 4 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის ხრეშის ბეტონის წყობის ერთეული (ბლოკი). იხ. ცხრილი 721.1(2)).
- **შიგა არამზიდი კედლები და ტიხრები**: 1 სთ > გათვლილია 1 სთ და 4 სთ_ზე მეტი, ტიხრები ბინებში და საცხოვრებელი ერთეულებისა და დერეფნის გამმიჯნავები (10 სმ და 20 სმ კაჟბადის ხრეშის ბეტონის წყობის ერთეული (ბლოკი). იხ. ცხრილი 721.1(2))
- **იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები**: 2 სთ > გათვლილია 4 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3))
- **სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები**: 1 სთ > გათვლილია 4 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3))

3.4. **ტიპი I (B)** კონსტრუქციისთვის, ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით მიღებულია *სწორად,* ცხრილი 602 შესაბამისად.

[14] სიმაღლე და სართულიანობა მიწის დონის ზევით.

[15] აღებულია ყველაზე დიდი იატაკის მქონე სართულის ფართობი თითოეული დაკავებულობის ჯგუფისთვის.

[16] აღებულია ყველაზე მცირე მაჩვენებელი პროექტიდან.

[17] დეტალურად იხ. შემდეგი ცხრილი.

ცხრილი 6. გარე კედლების ცეცხლმედეგობის შეფასება (იხილეთ სქემასთან ერთად)[18]

გარე კედლის მონაკვეთი	დაკავებულობა	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი – X (მ)	კონსტრუქციის ტიპი	ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული
A[19]	სვ, სც-2	X ≥ 9	I (B)	0 სთ	>4 სთ
B		3 ≤ X < 9		1 სთ	>4 სთ
C		3 ≤ X < 9		1 სთ	>4 სთ
D[20]		3 ≤ X < 9		1 სთ	>4 სთ

კერძოდ, თითოეული გარე კედლის დაშორება ცალ-ცალკეა გაზომილი და მისადაგებული ცხრილის პარამეტრებსა და დაკავებულობის ჯგუფებს.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

4.1. გასასვლელთან მისადგომი: გასასვლელთან მისადგომი 1014 ქვეთავის შესაბამისად არის დაპროექტებული. შუალედური სივრცეები პროექტში არ გვხვდება დაცულია 1014 ქვეთავის მოთხოვნები, გასასვლელისაკენ სავალი საერთო ბილიკის მიმართ ცხრილი 1014.3-ის შესაბამისად:

ცხრილი 7. საერთო სავალი ბილიკის შეფასება

სართული/ნიშნული	დაკავებულობა		გასასვლელისკენ სავალი მაქსიმალური საერთო ბილიკი[21]		
	ჯგუფი	დატვირთვა	საშხეფი სისტემა	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
„ა“ – „ბ“ ბლოკი -6.60 -3.30	სწ-2	> 30	კი	30 მ	24.1 მ
„ბ“ ბლოკი ±0.00 (N3)	სვ	> 30	არა	23 მ	15.40 მ
„ბ“ ბლოკი +34.20	სც-2	> 30	არა	23 მ	22.95 მ

4.2. გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომის გზა-კარები: კომპონენტების რაოდენობის გამოთვლა შესრულებულია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვების საფუძველზე, **ცხრილი 1015.1**, 1015.1 და 1015.1.1 პარაგრაფების გათვალისწინებით და დაცულია წესების მოთხოვნები. ქვემოთ მოცემულია თითოეული დაკავებული სივრციდან გასასვლელის გზა-კარების რაოდენობის ანგარიში:

[18] იხ.სურათი 2

[19] A - აღნიშნულ მონაკვეთში ღიობების დასაშვები ფართობი შეუზღუდავია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე, შესაბამისად არაა ნაწარმოები მათი პროცენტულობის ანგარიში.

[20] D – აღნიშნულ მონაკვეთში პროექტით არაა გათვალისწინებული ღიობები.

[21] ცხრილში აღწერილია და შეფასებულია ორივე ბლოკიდან ყველაზე მკაცრი მოთხოვნის მქონე სივრცე თითოეული ტიპის დაკავებულობიდან (ანუ ყველაზე დაშორებული).

ცხრილი 8. გზა-კარების რაოდენობის შეფასება სივრცეებისთვის[22]

სართული	დაკავებულობის ჯგუფი	სივრცე №	დამკავებელთა დატვირთვა		სივრციდან გასასვლელის გზა-კარის რაოდენობა	
			მაქსიმალური	არსებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
„ა“ – „ბ“ ბლოკი -6.60 -3.30	სწ-2	1-2	49	**1**	**1**	1
		3-4	29	**80**	**2**	4
„ა“-„ბ“ ბლოკი ±0.00	სვ	5; 4	49	**69**	**2**	2
„ბ“ ბლოკი +24.50	სც-2	61	10	**9**	**1**	1

4.3. თითოეულ სართულზე, გასასვლელის გზა-კარებისთვის დაცულია 1015.2.1 ქვეთავის გამონაკლისების მოთხოვნები, კერძოდ 2 გზა-კარის მქონე შენობის ან ფართობის გასასვლელის გზა-კარები ერთმანეთისგან დაცილებულია შენობის მაქსიმალური დიაგონალის სიგრძის 1/3 მეტი მანძილით, რაც გრაფიკულად არის ასახული პროექტში.

4.4. ვინაიდან საპროექტო ობიექტი წარმოადგენს მაღლივ[23] შენობას, ბლოკი „ა“ 9, ხოლო ბლოკი „ბ“ 8 სართულით, წესების შესაბამისად მოეთხოვება 2 გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია. დაცულია 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნა და გასასვლელის გზა-კიბეები ერთმანეთისგან დაცილებულია 9-მეტრზე მეტად.

4.5. <u>გასასვლელთან მისადგომის სავალი მანძილი:</u> სწორად არის მიღებული საპროექტოდ გასასვლელთან მისადგომების სავალი მანძილები 1016.2 ცხრილის საფუძველზე და ასახულია პროექტში. კერძოდ, ყველაზე მკაცრი მაქსიმალური სავალი მანძილი დაცულია:

ცხრილი 9. მაქსიმალური სავალი მანძილები

სართული	დაკავებულობა	გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი		
		საშხეფი სისტემა	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
„ა“ – „ბ“ ბლოკი -6.60 -3.30	სწ-2	კი	**120 მ**	**26.0 მ**
„ა“ ბლოკი ±4.00 (N3)	სვ	არა	**60 მ**	**20.4 მ**
„ბ“ ბლოკი +4.70 +21.20	სც-2	არა	**60 მ**	**25.95**

4.6. <u>დერეფნები:</u>

4.6.1. დერეფნების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 1018.1 ცხრილის მიხედვით:

[22] ვინაიდან ყველა მსგავს დაკავებულობაში სივრცეებს მოეთხოვება და გათვალისწინებულია ერთი რაოდენობის გასასვლელი (მთელ შენობაში, ორივე ბლოკში), თითოეული დაკავებულობიდან წარმოდგენილია მაქსიმალური ფართობის/დაკავებულობის სივრცე.

[23] შენობა, რომლის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 23 მ-ზე ზემოთ.

ცხრილი 10. დერეფნების ცეცხლმედეგობა

სართული	დაკავებულობა	დ.დ	ცეცხლმედეგობის ხარისხი (საათებში)		
			საშხეფი სისტემა	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
„ა“ – „ბ“ ბლოკი	სწ-2	> 30	არა	1	-[24]
„ა“ – „ბ“ ბლოკი	სვ	> 30		1	4
„ა“ – „ბ“ ბლოკი	სც-2	> 10		1	4

4.7. <u>შენობიდან გამოსასვლელი:</u> პროექტით მიწის დონის ზედა და ქვედა სართულებისთვის დაცულია წესების 1027.1 ქვეთავის მოთხოვნები გასასვლელებთან მიმართებაში, ასევე 1023 ქვეთავის მოთხოვნები გასასვლელის გზა-დერეფანთან დაკავშირებით. რაც შეეხება პირველ სართულს გასვლა ხორციელდება როგორც გზა-კარის საშუალებით, ისე 1023 ქვეთავის შესაბამისი გზა-დერეფნის საშუალებით.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

5.1. გზა-კიბეების და სხვა საშუალებების გამტარუნარიანობა მოწყობილია 1022 ქვეთავების შესაბამისად. მათი გამტარუნარიანობა მიღებულია **1005.3.1** და **1005.3.2 ქვეთავების** შესაბამისად და აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს:

ცხრილი 11. გამტარუნარიანობის შეფასება[25]

სართული	დაკავებულობის ჯგუფი	Σ დ.დ.	კომპონენტი	გამტარუნარიანობა		
				გამტარუნარიანობის ფაქტორი (სმ)	მოთხოვნილი სიგანე (სმ)	გათვალისწინებული სიგანე (სმ)
„ა“ – „ბ“ ბლოკი -3.00	სწ-2	80	გზა-კიბე	0,51	40,8	480
			დერეფანი	-	-	-
			გზა-კარი	0,38	30,4	368
„ა“ – „ბ“ ბლოკი 1	სვ	222	გზა-კიბე	-	-	-[26]
			დერეფანი	0,76	168,8	1000
			გზა-კარი	0,51	113,3	184
„ა“ – „ბ“ ბლოკი 1	სწ-2, სც-2	145[27]	გზა-კიბე	0,76	110,2	240
			დერეფანი	0,51	74,0	1000
			გზა-კარი	0,51	74,0	184
„ა“ ბლოკი 8	სც-2	56	გზა-კიბე	0,76	42,6	360
			დერეფანი	0,51	28,6	180
			გზა-კარი	0,51	28,6	276

[24] სვ. და სწ-2 ჯგუფის დაკავებულობებში დერეფნები არაა წარმოდგენილი

[25] ვინაიდან ორივე ბლოკს აქვს მსგავსი ტიპის და რაოდენობის გასასვლელები სართულებიდან, გამომდინარე აქედან მსგავსი დაკავებულობებიდან აღებულია ყველაზე დიდი დამკავებელთა რაოდენობის სართული/სივრცე.

[26] მიწის დონის სართუზე გზა-კიბე ამავე სართულისთვის არ წარმოადგენს გასასვლელ საშუალებას, შესაბამისად აღნიშული სართულისთვის გზა-კიბის გამტარუნარიანობის ანგარიში არ ხორციელდება და ითვლება ზედა და ქვედა, ყველაზე დიდი დაკავებულობების ჯამური მაჩვენებლები

[27] სართულზე, რომლის დონეზეც საზოგადოებრივ სივრცეში გასასვლელია, გამტარუნარიანობა იანგარიშება ამ სართულის ზედა და ქვედა ყველაზე დიდი დამკავებელთა რაოდენობის სართულების დაკავებულობის ფაქტორების ჯამიდან.

5.2. უზრუნველყოფილია უწყვეტობა შენობაში;
5.3. გზა-კიბეების ბაქანების სიგანეები აღემატება მინიმალურ მოთხოვნილ სიგანეს;
5.4. **1009.16** ქვეთავის თანახმად საზურავის ზედაპირამდე გრძელდება ერთი გზა-კიბე;
5.5. დერეფნის მინიმალური ზომები აღემატება **1018.2 ცხრილით** მოთხოვნილ მაჩვენებლებს.

ცხრილი 12. დერეფნის სიგანე

სართული	დაკავებულობა	დერეფნის მინიმალური სიგანე	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული [28]
„ა“ – „ბ“ ბლოკი -6.60; -3.30; ±0.00	სწ-2	1,2 მ	-[29]
„ა“ – „ბ“ ბლოკი ±0.00; +4.00	სვ		5,0 მ
„ა“ – „ბ“ ბლოკი +8.00 - +31.10; +4.70 - +24.50	სც-2		1.8 მ

5.6. კარების მინიმალური ზომები მიღებულია **1008.1.1** ქვეთავის გათვალისწინებით: არანაკლებ, 82 სმ თავისუფალი სიგანე.
5.7. დაცულია ქვეთავი **1008.1.2**-ის მოთხოვნები კარებთან მიმართებაში.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

6. მისაწვდომობის შეფასება

საპროექტო დაკავებულობებთან მიმართებაში პროექტის მიხედვით:

6.1. **ლიფტები:** შენობის ორივე ბლოკში გამოყენებულია შენობაში გამოყენებულია 1007.2.1 და 1007.4 ქვეთავის შესაბამისი აუცილებელი მისაწვდომი ლიფტი.
6.2. **გზა-კიბეები:** „იმისათვის, რომ გზა-კიბეები მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, სართულებს შორის მდებარე გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის, სულ მცირე, 1,2 მ უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს ან იატაკის დონეზე გადიდებული ბაქნის საზღვრებში მდებარე თავშესაფრის ფართობს, ან უნდა ჰქონდეს მისადგომი 1007.6 ქვეთავის შესაბამისი თავშესაფრის ფართობიდან, ან ჰორიზონტალური გასასვლელიდან“. ზემოაღნიშნული გათვალისწინებულია გზა-კიბის სიგანის ნაწილში, თუმცა 1007.3 ქვეთავის მე_2 და მე-6 გამონაკლისის თანახმად სწ-2 და სც-2 ჯგუფის დაკავებულობებს თავშესაფრის ფართობი არ მოეთხოვება.
6.3. **კარები:** თავისუფალი სიგანე > ან = 82 სმ (ერთი ფრთა); თავისუფალი სიმაღლე > ან = 205 სმ (1008 ქვეთავი);
6.4. **მისაწვდომი სვლაგეზი**: მიწის ნაკვეთზე და შენობაში — მიწისპირა დონე შენარჩუნებულია, შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზი (ასახულია ნახაზებზე).

[28] აღებულია მინიმალური მაჩვენებლები სართულზე.
[29] აღნიშნულ დაკავებულობაში, მოცემულ სართულზე, დერეფნები არ გვხვდება.

6.5. **ავტოსადგომი**: დაცულია **1106.1** და **1106.5** ქვეთავის მოთხოვნები, პარკინგების რაოდენობა ავტოსადგომზე ჯამურად შეადგენს 105 ერთეულს და მოეთხოვება 3 მისაწვდომი ავტოსადგომი, მათ შორის 1 განკუთვნილი მიკროავტობუსისთვის. პროექტით გათვალისწინებულია 5 მისაწვდომი ავტოსადგომი, მათ შორის 1 მიკროავტობუსისთვის, რომლებიც განთავსებულია უახლოეს მისაწვდომ სვლაგეზებზე.

6.6. **ტუალეტისა და სააბაზანოს მოწყობილობები:** პროექტში სც-2 ჯგუფში **1107.6.2.1.1** ქვეთავის თანახმად, გათვალისწინებულია **A117.1 სტანდარტის** 2-2 „ა“ ტიპის ბინა, თითოეულ ბლოკში, ხოლო დანარჩენი საცხოვრებელი ერთეულებისთვის გათვალისწინებულია **1107.6.2.1.2** ქვეთავის მოთხოვნები „ბ“ ტიპის სტანდარტთან დაკავშირებით.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

7.1. ფასადები სადაც ღიობებია გათვალისწინებული, წესების თანახმად სხვადასხვა ოდენობით იზღუდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით. ამ გარემოებების გათვალისწინებით, გარე კედლის ღიობების ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით წესების შესაბამისად არის დაგეგმარებული (ცხრილი 705.8)

ცხრილი 13. ღიობების მაქსიმალური ფართობების ანგარიშის ცხრილი პროექტიდან

მონაკვეთ	ფართობები (კვ.მ)			ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი	დაცვის ხარისხი	დასაშვები ფართობი (%)	გა თვალისწინებული
	ფასადის	ღიობის					
		დაცული	დაუცველი				
A[30]	-	-	-	9.0 მ ან მეტი	დაუცველი	შეუზღუდავია	-
B	**15,9**	-	**10,9**	7.5 და მეტი და 9_ზე ნაკლები	დაუცველი	**70,0%**	**68,6%**
C	**35,0**	**18,4**		4.5 და მეტი და 6_ზე ნაკლები	დაცული	**75,0%**	**52,6%**
D[31]	-	-	-	3.0 და მეტი და 9_ზე ნაკლები	-	-	-

7.2. შენობას 705.11 ქვეთავის მე-6 გამონაკლისის საფუძველზე: „თუ, 705.8 ქვეთავის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის საფუძველზე, გარე კედლის ფართობის, სულ მცირე, 25%-ზე დასაშვებია დაუცველი ღიობები“, შენობას პარაპეტი არ მოეთხოვება.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

[30] A - აღნიშნულ მონაკვეთში ღიობების დასაშვები ფართობი შეუზღუდავია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე, შესაბამისად არაა ნაწარმოები მათი პროცენტულობის ანგარიში.

[31] D – აღნიშნულ მონაკვეთში პროექტით არაა გათვალისწინებული ღიობები.



სურათი 2. გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობების ფართობის ანგარიშის სქემა 602 და 705.8 ცხრილების შესაბამისად, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცხვის ხარისხის მიხედვით

8. იატაკის და სახურავის ანაწყობების შეფასება

8.1. შესრულებულია წესების მოთხოვნათა დაცვით. იხ. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- **იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები**: 2 სთ > გათვლილია 4 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3))
- **სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები**: 1 სთ > გათვლილია 4 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3))

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

9.1. პროექტში შერეული დაკავებულობები არაა წარმოდგენილი, შესაბამისად არ მოეთხოვება გამმიჯნავები 508.4 ცხრილის მიხედვით, თუმცა დაცულია მოთხოვნები სახანძრო ტუმბოს ოთახთან დაკავშირებით, 913 ქვეთავის შესაბამისად.

9.2. პროექტის მიხედვით, არც-ერთი დამხმარე გამოყენება არ არის იდენტიფიცირებული როგორც თანხმლები და ქვეთავი 509 მოთხოვნები არ ვრცელდება.

9.3. პროექტში ყურადღებაა მიქცეული ცეცხლმედეგი ზღუდეების მოთხოვნებზე (**ref.#: 41**, ქვეთავი 707).

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

***ref.#: 41**, თავი 9*

10.1. <u>ავტოსაშხეფი სისტემა:</u>

10.1.1. **სწ-2** - დაკავებულობის ჯგუფში 903.2.10 ქვეთავის თანახმად გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემა ;

10.1.2. **სვ** - დაკავებულობის ჯგუფში 903.2.7. ქვეთავის პირობების თანახმად ავტოსაშხეფი სისტემა არ მოეთხოვება;

10.1.3. **სც-2** - დაკავებულობის ჯგუფში 903.2.8 ქვეთავის პირველი გამონაკლისის თანახმად ავტოსაშხეფი სისტემა არ მოეთხოვება

<u>შენიშვნა:</u> თუ NFPA 20 მოითხოვს სახანძრო ტუმბოების სხვაგვარად დაგეგმარებას საჭიროებისამებრ დაკორექტირდეს პროექტი.

10.2. <u>სახანძრო მილდგარების სისტემა:</u> გათვალისიწინებულია **905.4** ქვეთავის შესაბამისი I კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები, რომლებიც უნდა მოეწყოს **NFPA 14**_ის მიხედვით;

<u>შენიშვნა:</u> **912**_ე ქვეთავის შესაბამისი სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლის მოწყობა და ადგილმდებარეობა შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო -სამაშველო სამსახურთან;

10.3. <u>ხელის ცეცხლმაქრი</u>: 906.1 ქვეთავის 1-ლი პუნქტის გამონაკლისის თანახმად საცხოვრებელ ერთეულებს ხელის ცეცხლმაქრები არ მოეთხოვება, ხოლო დერეფნები, სვ. ჯგუფისა და სწ-2 ჯგუფის დაკავებულობები აღჭურვილია 2A ტიპის 906.3(1) ცხრილის მოთხოვნის შესაბამისი რაოდენობის ცეცხლმაქრებით. ასევე დაცულია მოთხოვნა მანძილებთან დაკავშირებით, არაუმეტეს 23მ ცეცხლსაქრობამდე.

10.4. <u>ხელით სამართავი სისტემა:</u> 907.2.9 ქვეთავის თანახმად სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა.

<u>შენიშვნა:</u> **907.4.2.1** ქვეთავის შესაბამისად „სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები არ უნდა განთავსდეს თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ზე მეტი დაშორებით. ისინი ისე უნდა განთავსდეს, რომ უახლოეს კოლოფთან მისასვლელი მანძილი 60 მ-ს არ აღემატებოდეს“, შესაბამისად, შენობის თითოეული სართულის გასასვლელთან გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი.

10.5. <u>UL 217_ის შესაბამისი კვამლზე მორეაგირე მაუწყებელის ერთ- და მრავალბლოკიანი მოწყობილობები:</u> მოეთხოვება 907.2.11.2 ქვეთავის შესაბამისად, ამავე ქვეთავში განსაზღვრულ ადგილებში, რომლებიც NFPA 72-ის შესაბამისად უნდა მოეწყოს;

10.6. <u>კვამლის ავტომატური აღმომჩენი:</u> მოეთხოვება 907.2.13 ქვეთავის მიხედვით, რომელიც უნდა მოეწყოს 907.2.13.1 ქვეთავის თანახმად;

10.7. <u>ხმოვანი განგაშები:</u> მათი განთავსება უნდა მოხდეს სპეციალისტის მითითებების შესაბამისად;

10.8. <u>საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა:</u> აუცილებელი საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები, უნდა დაგეგმარდეს და დააყენონ NFPA 72-ის შესაბამისად.

10.9. <u>მხედველობითი განგაში:</u> 907.5.2.3.4 ქვეთავის თანახმად ყველა საცხოვრებელ და საძინებელ ერთეულში შესაძლებელი უნდა იყოს ვიზუალური განგაშის შეტყობინების მოწყობილობის მუშაობა, ICC A117.1-ის შესაბამისად.

10.10. <u>სახანძრო განგაშის საკონტროლო ერთეულის დაცვა:</u> 907.4.1 ქვეთავის შესაბამისად ფართობებზე, რომლებიც მუდმივად არ არის დაკავებული, ერთი კვამლაღმომჩენი უნდა განთავსდეს სახანძრო განგაშის თითოეულ საკონტროლო ერთეულთან, შეტყობინების დანადგარის წრედის დამაგრძელებელთან და საზედამხედველო სადგურის გადამცემ მოწყობილობასთან.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

11.1. წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობის საანგარიშოდ გამოყენებულია **1602.1** ცხრილი.

ცხრილი 14. აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები

სართული	აღწერილობა - დანიშნულება	N ბინა-სივრცე	დ.დ.[32] /სახანძრო ერთეული	აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები									
				უნიტაზები		ხელსაბანები		აბაზანები/ შხაპები		წყლის დასალევი შადრევნები		სამომსახურო; სამზარეულოს ნიჟარა	
				ქალი/კაცი		ქალი/კაცი							
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
„ა“ – „ბ“ ბლოკი ±0.00 +4.00	კომერციული სივრცე (სვ)	03; 05; 02; 04	44	2	2	2	2	-	-	1	1	1	1
		02; 04; 01; 03	100	1	1	1	1	-	-	1	1	1	1
-	მრავალბინიანი საცხოვრებელი (სც-2)	-	-	ერთ საცხოვრებელ ერთეულზე 1602.1 ცხრილის მოთხოვნების მიხედვით, ორივე ბლოკის თითოეულ ბინაში გათვალისწინებულია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს, აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები, რაც ასახულია პროექტში და წარმოდგენილ ცხრილებში									

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

<u>დასკვნა:</u>

ჩემ მიერ შესწავლილი ტდ-ის მიხედვით, ტექნიკური რეგლამენტების (**ref.#: 41**, **ref.#: 57**) მოთხოვნათა გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპროექტო ობიექტის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილი შეესაბამება ხსენებული რეგლამენტების მოთხოვნებს და ეძლევა რეკომენდაცია მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

ექსპერტი ნ. ჩაჩხიანი

18.09.2019, თბილისი

[32] თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობის დასადგენად, დამკავებელთა საერთო რაოდენობა ორზე უნდა გაიყოს.

დანართი 1:



О ТРУДОВЫХ КНИЖКАХ РАБОЧИХ И СЛУЖАЩИХ

Постановление Совета Министров СССР и ВЦСПС
от 6 сентября 1973 года № 656
(Извлечение)

1. ...Трудовые книжки ведутся на всех рабочих и служащих государственных, кооперативных и общественных предприятий, учреждений и организаций, проработавших свыше 5 дней...

4. Рабочие и служащие, поступающие на работу, обязаны предъявлять администрации предприятия, учреждения, организации трудовую книжку, оформленную в установленном порядке.

5. Прием на работу без трудовой книжки не допускается...

6. В трудовую книжку вносятся:

сведения о работнике: фамилия, имя, отчество, дата рождения, образование, профессия, специальность;

сведения о работе: прием на работу, перевод на другую работу, увольнение. Записи о наименовании работы или должности, на которые принят работник, производятся: для рабочих в соответствии с наименованиями профессий, указанных в Едином тарифно-квалификационном справочнике работ и профессий рабочих; для служащих в соответствии с наименованиями должностей, указанных в Единой номенклатуре должностей служащих, или в соответствии со штатным расписанием;

сведения о награждениях и поощрениях: награждения орденами и медалями, присвоение почетных званий; награждения и поощрения за успехи в работе, предусмотренные правилами внутреннего трудового распорядка и уставами о дисциплине; другие поощрения в соответствии с действующим законодательством;

сведения об откратиях, на которые выдана диплома, об использованных изобретениях и рационализаторских предложениях и о выплаченных в связи с этим вознаграждениях.

Взыскания в трудовую книжку не записываются.

7. С каждой записью, вносимой в трудовую книжку (вкладыш), о назначениях, перемещениях и увольнении администрация обязана ознакомить владельца этой книжки.

12. Заполнение трудовых книжек и вкладышей к ним производится на том языке, на котором ведется делопроизводство на данном предприятии, в учреждении, организации. В том случае, если делопроизводство ведется на языке союзной или автономной республики, то трудовая книжка заполняется одновременно на языке данной республики и на русском языке.

13. При увольнении... все записи.., внесенные в трудовую книжку.., заверяются подписью руководителя предприятия, учреждения, организации или специально уполномоченного им лица и печатью.

40

შრომის წიგნაკი

ЗТ-I № 2218816

გვარი ჩახნიანი

სახელი ნინო

მამის სახელი ზურაბის ასული

დაბადების თარიღი 1968 02. 03
(წელი, რიცხვი, თვე)

განათლება უმაღლესი
(დაწყებითი, საშუალო, საშუალო, დაუმთავრებელი უმაღლესი, უმაღლესი)

პროფესია, სპეციალობა ეკონომისტი

შევსების თარიღი 1990წ. „10" ოქტომბერი

წიგნაკის მფლობელის ხელის მოწერა

შრომის წიგნაკის პასუხისმგებელი
გამცემის ხელის მოწერა

ბ. ა.

(გარკვევით)

4 41

ფოტო 1. შრომის წიგნაკის ფოტოასლი



ცნობები მუშაობის შესახებ

ჩანაწერის №	თარიღი: წელი	თარიღი: რიცხვი	თარიღი: თვე	ცნობები სამუშაოზე მიღების, დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით	სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით)	რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
1	2			3		4
1	1990	05	10	შპს „კომპ მიღებულია ინ ლაბორანტად	ოპერატორად	ბრძ №15 05.10.1990წ
2	1993	15	02	განთავისუფლდა პირადი ჯგუფის გამო	ოპერატორად	ბრძ №35 15.02.1993წ
3	1997	23	03	განთავისუფლდა პირადი განცხადების შპს „კომპიუტერის"	მატყვანებლობიდან ოპერატორის თანამ.	ბრძ №125 23.03.1997წ
4	1997	23	03	შპს „ა მიღებულია ლაბ ლაბორატორ	ნელმაცდ ოპერატორის თანამ-	ბრძ№20 23.03.97წ.

42 4 4 43

ფოტო 2. შრომის წიგნაკის ფოტოასლი



ცნობები მუშაობის შესახებ ЗТ-I № 2218816

ჩანაწერის №	თარიღი			ცნობები სამუშაოზე მიღების, დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით)	რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
	წელი	რიცხვი	თვე		
1	2			3	4
5.	2006	30	01	[illegible] შპს „ანდამატის" დირექტორი	№ 7 30.01.2006წ.

44 4 4 45

ფოტო 3. შრომის წიგნაკის ფოტოასლი



ცნობები მუშაობის შესახებ

ჩანაწერის №	თარიღი			ცნობები სამუშაოზე მიღების, დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით)	რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
	წელი	რიცხვი	თვე		
1	2			3	4
6	2006	01	02	[illegible]	[illegible] № 05/06 01.02.2006
7	2008	01	03	[illegible]	[illegible] № 04/08 01.03.2008.

46 4 4 47

ფოტო 4. შრომის წიგნაკის ფოტოასლი



ცნობები მუშაობის შესახებ

ЗТ-I № 2218816

ჩანაწერის №	თარიღი: წელი	რიცხვი	თვე	ცნობები სამუშაოზე მიღების, დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით)	სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით)	რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
1	2			3		4
	2008	15	02	ქ. თბილისის დაბადებული ქ. თბილისის დაბადებული საქართველოს სამოქალაქო სამართლის სპეციალისტი	იქნა მორიგი იქნა მორიგი ოფიციალური სამსახურიდან პირველად საქართველოს მოქალაქეობაზე	ქალაქ თბილისის N 201 14.02.08.
	2008	31	12	გათავისუფლდა დაკავებული სამსახურიდან სამართლის 96-ე მუხლით შრომის ხელშეკრულების	ვეფხვია თამაზაშვილის "შრომის კოდექსის" საქართველოს პრეზიდენტი და მე-5 პუნქტის	ვაკე-საბურთალოს N 15-97 30.12.08.
				საყდები მთავარი	ბერიკაშვილი სამსახურის საქართველოს ბ. ბერიკაშვილი	

ფოტო 5. შრომის წიგნაკის ფოტოასლი



ცნობები მუშაობის შესახებ

ჩანაწერის №	თარიღი: წელი	რიცხვი	თვე	ცნობები სამუშაოზე მიღების, დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით)	სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით)	რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
1	2			3		4
				ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის	სსიპ - ქ. თბილისის სამსახური	
	2008	31	12	დათხოვნილია ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი სსიპ - ქ. თბილისის სანეგატივო ფონდის სპეციალისტის თანამდებობიდან	სანეგატივო ფონდის ცენტრალური	ბრძანება N 65 31.12.2008წ.
	2010	30	11	ძალაში შედიოდეს განკარგულება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის სანეგატივო ფონდის ცენტრალური ფონდის შენახვის ნაწილის სანეგატივო ფონდის სპეციალისტის თანამდებობიდან	ბრძანება N 65 ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის N IV	ბრძანება N 5848 30.11.2010

ფოტო 6. შრომის წიგნაკის ფოტოასლი

<u>დანართი 2:</u>



დიპლომი
წარჩინებით
НВ № 066225

ეს დიპლომი მიეცა ნინო ზურაბის ასულ ჩაჩხიანს
იმაზე, რომ იგი 1985 წელს შევიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1990 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სრული კურსი სპეციალობით არქიტექტურა
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1990 წ. „30“ 06 გადაწყვეტილებით
ნ. ზ. ჩაჩხიანს მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია.
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი
ბ. ა.
ქალაქი თბილისი 1992 წ. „3“ IX
სარეგისტრაციო № 1234

ДИПЛОМ
С ОТЛИЧИЕМ
НВ № 066225

Настоящий диплом выдан Чачхиани Нине Зурабовне
в том, что она в 1985 году поступила в Грузинский политехнический институт
и в 19... году окончил... полный курс Грузинского технического университета
по специальности архитектура
Решением Государственной экзаменационной комиссии от „30“ 06 1990 г.
Чачхиани Н. З.
присвоена квалификация архитектора
Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь
М. П.
Город Тбилиси „3“ IX 1992 г.
Регистрационный № 1234
Московская типография Гознака. 1985.

ფოტო 7. დიპლომის ფოტოასლი